ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29261546**
თარიღი:**03/06/2026**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს მე-19 მუხლის ,,ბ'' პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული თერჯოლის მუნიციპლიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 116^2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **საკრებულომ**

გადაწყვიტა

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება გაეგზავნოს თერჯოლის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7), დაინტერესებული მხარისთვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სოსო ჩაფიჩაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM